



მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი – 2007 - 20??  
(ნაწილი 1)

**მომზადებულია:**  
შპს "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+"-ს მიერ  
თბილისი, საქართველო

ავტორი – ქრისტინე ომაძე

2010 წელი



## მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი – 2007 - 20??

მსოფლიო ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. ამის მიზეზი კი მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისია, რომელიც (საერთო შეფასებით) ყველაზე მძლავრია, რაც ბოლო 80 წლის მანძილზე (1928 – 1933 წწ დიდი დეპრესიის მერე) მომხდარა. ხოლო თავისი ღირებულებით და ჩართულობით ეს კრიზისი ყველაზე ძვირადღირებული და ღრმაა, რაც კი კაცობრიობის ისტორიაში მომხდარა.

გლობალური კრიზისის მიზეზები და ფაქტორები პრინციპში დიდად არ განსხვავდება წინა კრიზისებისაგან, რომ არა ამ კრიზისის მასშტაბი და პრობლემები. კრიზისის გამომწვევი ფაქტორები კი შემდეგია:

1. გლობალური თამაში აღვირახსნილ ლიბერალიზმში, რამაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედ საფინანსო სისტემის წამყვან ბანკებს (კომერციულ და მათთან გათანაბრებულ საინვესტიციო ბანკები) მიანიჭა შესაძლებლობა არასაბანკო სექტორებში შესულიყვნენ (ანუ არასაბანკო საქმით დაკავდნენ –სავაჭრო ქსელი, სამშენებლო ბიზნესი, სადაზღვევო საქმიანობა, საბროკერო საქმიანობა და სხვა) და ფაქტობრივად გაენადგურებინათ იქ მოღვაწე შესაბამისი პროფილეს კომპანიები, რამაც ამ დარგების სრული ჩავარდნა გამოიწვია;
2. ბანკების მხრიდან წარმოებულმა ფართო (და გაუაზრებელმა) საკრედიტო პოლიტიკამ ფაქტობრივად ვალებში ჩაფლო ყველა ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რაც მეორეს მხრივ კრიზისის კვალობაზე მათ გადახდისუუნარობას ზრდის და ამძიმებს საერთო მძიმე ეკონომიკურ სიტუაციას;
3. შესაბამისი ქვეყნების საბანკო და საფინანსო ზედამხედველობის სამსახურების უუნარობა და უმოქმედება აღეკვეთა ბანკების არასაბანკო სექტორში მოღვაწეობა;
4. საბანკო და საფინანსო დარგის მსხვილი მესაკუთრეების მოგებაზე ორიენტირებული მიზნების მისაღწევად მრავალი არაჯანსაღი სტრუქტურის და ფიზიკური პირზე სესხის გაცემა და დაფინანსება;
5. მსხვილი საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მიერ წარმოშობილი პრობლემების “არდანახვამ” შესაბამისი “გასამრჯელოს” ფასად. ამის შედეგად აუდიტორული დასკვნების და რეიტინგების “ყიდვა – გაყიდვამ” ფართო ხასიათი მიიღო და შექმნა არაჯანსაღი ეკონომიკური ვითარება. დაზარადა მრავალი ინვესტორი და დიდი ოდენობის საინვესტიციო თანხა დაიკარგა;
6. წინა საკრიზისო პერიოდში წარმოებულმა ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უაზროდ გააძვირა უძრავი ქონების ბაზარი და სამშენებლო – საფინანსო პირამიდების მომრავლება გამოიწვია. რამაც უკვე დამდგარ კრიზისის პირობებში ამ აქტივებში დაბანდებული ფულის (მეტ წილად მეანაბრეების) ღირებულება კატასტროფული ვარდნა განაპირობა. ეს კი (ბანკების გარესაბანკოსო ანგარიშებზე რიცხული აქტივების) ყველაზე მძიმე საფინანსო – ეკონომიკური პრობლემაა, რაც თავს უახლოეს პერიოდში იჩენს. მიზეზები შეიძლება გაცილებით მეტი ჩამოითვალოს, თუმცა ვთვლით, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის საერთო სურათს ჩამოთვლილი 6 (ექვსი) მიზეზი მეტ ნაკლებად პასუხობს.

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია შპს "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" მიერ. ჩვენ ვეყრდნობით ამ მასალების მომწოდებლებს, რამეთუ მიგვაჩნია აღნიშნული წყაროები როგორც სანდო და მისაღები. ამასთანავე ჩვენ არ გაძლევთ იმის გარანტიას, რომ მოყვანილი მასალა არის ჭეშმარიტი და ზუსტი და არ ვავებთ პასუხს რაიმე სახის შეცდომასა, რეკომენდაციასა თუ ნაკლზე. ყველა აზრი არის სამსჯავრო და მოქმედი არსებული მიმოხილვის დღისთვის და არ ექვემდებარება ცვლილებას ჩვენი შეტყობინების გარეშე. დოკუმენტი არ წარმოადგენს შეთავაზებას თუ მოწვევას, ფასიანი ქაღალდის ყიდვა/გაყიდვაზე გვ 2/6

ამჟამად შევეცდებით ავსახოთ თუ რა გავლენა იქონია გლობალურმა კრიზისმა მსოფლიოს წამყვან ეკონომიკაზე – ამერიკის შეერთებულ შტატებზე

- აშშ ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეპ) 3.8% შემცირდა – ეს ყველაზე დიდი და ღრმა შემცირებაა აშშ ეკონომიკის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიაში;
- თანხობრივად აშშ ეპ 514 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა;
- კერძო ინვესტიციების მოცულობა 570 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა;
- ოფიციალურმა უმუშევრობამ 10% შეადგინა, როდესაც სხვა პირობებში ის 4 – 5% ტოლფასია. არაოფიციალური მონაცემებით კი უმუშევრობა 15 – 17% აღწევს;
- კრიზისის ხანგძლივობა გვაფიქრებინებს, რომ ადგილი ექნება არა მარტივ **V** სახეობის ციკლს (შეკვეცა – დაცემა – აღმავლობა), არამედ უარეს სცენარს – **W** სახეობის ციკლს (შეკვეცა – დაცემა – მცირე აღმავლობა – დაცემა – აღმავლობა), რაც არ გამორიცხავს 2010 წელს კრიზისის გამწვავებას;
- ეკონომიკური აქტივობის ასამაღლებლად აშშ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ცენტრალური ბანკი) საპროცენტო განაკვეთი ნულამდე დასწია (5,5 დან 0,25%), თუმცა ამ რადიკალურმა ნაბიჯმა ვერ გამოიყვანა ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან;
- სრული სიმძლავრით ამოქმედდა აშშ მთავარი რეზერვი – ამერიკული ვალუტის მასიური ემისია. ამის მიუხედავად ინფლაცია ამ დრომდე დაბალია, რადგან მოსახლეობის სამომხმარებლო ინდექსი მკვეთრად დაეცა, ხოლო ფინანსური რესურსი მიმართულ იქნა არა ფართო ფენაზე, არამედ პრობლემატურ კომპანიებსა და დარგებში;
- ბიზნეს სექტორში გამეფებული აპატიისა და დაცემის კვალობაზე მკვეთრად იმატა დეპოზიტების მოცულობამ. 2009 წელს დეპოზიტების მაჩვენებელმა მოსახლეობის ჯამურ შემოსავლების 5.9% მიაღწია, რაც ბოლო 17 წლის მაქსიმუმია. შესადარებლად – 2008 წელს ეს მაჩვენებელი 2.7% იყო;
- არსებული ეკონომიკური ვითარების გამო ხორციელდება ფასის ზრდა ისეთ საქონელზე, რომელიც ფულის შემცველია – ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი ლითონი).

ეკონომიკური კრიზისის გავლენა აშშ ეკონომიკაზე ამით არ შემოიფარგლება. კრიზისის დასაძლევად და ბიზნეს სექტორის გადასარჩენად აშშ მთავრობა ოპერატიულად ჩაერია ეკონომიკურ ცხოვრებაში (აქ გვაქვს განსხვავება 1928 – 33 წწ კრიზისისგან. დიდი დეპრესიის დროს რუზველტის ადმინისტრაცია მხოლოდ 1933 წლიდან ჩაერთო ეკონომიკურ პროცესებში და უარი თქვა ე.წ. “ლიბერალურ” კურსზე. კრიზისის დასაძლევად ჯონ მეინარდ კეინის ეკონომიკური გეგმა იქნა გამოყენებული, რამაც ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლი გაზარდა).

ამ კრიზისის დასაძლევად აშშ მთავრობამ 9,2 ტრილიონი აშშ დოლარი გამოყო ეკონომიკური სიტუაციის გამოსასწორებლად. ამ თანხიდან 3 ტრილიონი აშშ დოლარი უკვე დახარჯულია (ანუ 30%). შესაბამისად, აშშ მთავრობა გააგრძელებს სტიმულირების პოლიტიკას, თუ ამის საჭიროება ექნება. თანხის 80% განკუთვნილია 8 (რვა) მასშტაბურ პროექტზე და მასიურ ფულად ემისიას გულისხმობს. (შემდეგ გვერდზე ცხრილში წითლად მონიშნული პროგრამები). ამ პროგრამების ძირითადი არსი ისაა, რომ თანხის უკან დაბრუნება და ამოღება შეუძლებელი იქნება. ამასთანავე ამ პროგრამებიდან გამომდინარე რისკი არის არა თანხის დაუბრუნებლობა, არამედ დაფინანსების ზღვრული ოდენობის შეკვეცა ან შემცირება (დარჩენილი 6 ტრილიონი აშშ დოლარის არმიღება). ველაზე საჭირობოროტო პროგრამაა ბანკების საკითხი. მათი კაპიტალიზაციის ასამაღლებლად (ანუ უვარგისი აქტივების და დაუბრუნებელი სესხების სანაცვლოდ) მათ მიეცათ მთავრობიდან ფული, რაც აშშ მთავრობის მხრიდან ბანკების პრივილიგირებული აქციების შექმნის გზით განხორციელდა. ამ ფულის დაბრუნების სქემა კი ბანკების მიერ პრივილიგირებული აქციების უკან გამოსყიდვას. თუ პროგრამა შეჩერდა ან შეიკვეცა (ეს მოხდება ინფლაციის საფრთხის თუ სხვა მიზეზთა გამო) საბანკო სექტორი საკმაოდ მძიმე დღეში აღმოჩნდება. ერთი შეხედვით ბანკებს ჭარბი ლიკვიდურობა აქვთ – რადგან სიტუაცია მარტივია – მათ მიიღეს ფული და ამ ფულს არ გასცემენ სესხების სახით. მაგრამ! მათი აქტივების უმეტესობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ფუჭდება – ეცემა გირაოში ჩადებული ქონების რეალური ღირებულება და იზრდება მასშტაბური ჩამოწერის რისკი. ეს კი ბანკებს უფულოდ და ბანკროტობის პირას აყენებს. უფრო თვალსაჩინოთ რომ წარმოვიდგინოთ თუ რა ნაბიჯები გადადგა აშშ მთავრობამ ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოსაყვანად გთავაზობთ შემდეგ ცხრილს:

**TARP (Troubled Asset Relief Program) პრობლემური აქტივების დახმარების პროგრამა- (მლრდ აშშ დოლარში)**

დასახელება	მოცულობა	დაბანდება
AIG – ის (სადაზღვეო კომპანია) დახმარება	70	69.8
აქტივების გარანტიის პროგრამა	12.5	5
სააგტომოლო ნაწილების მიმწოდებლების პროგრამა	5	3.5
სააგტომობილო ინდუსტრიის მხარდამჭერი პროგრამა	80.1	80
<b>ბანკების კაპიტალიზაციის პროგრამა</b>	<b>218</b>	<b>204.7</b>
TALF (Term Asset- Backed Securities Loan Facility) ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხის პროგრამა	70	20
იპოთეკარი მსესხებლების პროგრამა	50	27.3
PPP ანუ ე.წ. “სანაგვე ფონდების” პროგრამა	100	23.3
მიზნობრივი ინვესტიციები – CITI და BofA (სიტი ბანკი და ბენკ ოფ ამერიკა)	40	40
დაბრუნებულია	73	73
ნარჩენი (ანუ დაუბრუნებული თანხა)	127.4	-
სულ	700	400.6

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია შპს "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" მიერ. ჩვენ ვეყრდნობით ამ მასალების მომწოდებლებს, რამეთუ მიგვაჩნია აღნიშნული წყაროები როგორც სანდო და მისაღები. ამასთანავე ჩვენ არ გაძლევთ იმის გარანტიას, რომ მოყვანილი მასალა არის ჭეშმარიტი და ზუსტი და არ ვაგებთ პასუხს რაიმე სახის შეცდომასა, რეკომენდაციასა თუ ნაკლზე. ყველა აზრი არის სამსჯავრო და მოქმედი არსებული მიმოხილვის დღისთვის და არ ექვემდებარება ცვლილებას ჩვენი შეტყობინების გარეშე დოკუმენტი არ წარმოადგენს შეთავაზებას თუ მოწვევას, ფასიანი ქაღალდის ყიდვა/გაყიდვაზე გვ 4/6



თბილისი, საქართველო  
2010 წელი

ფედერალური სარეზერვო სისტემის ანტიკრიზისული გეგმები

	მოცულობა	დაბანდება
საინვესტიციო ბანკი – Bear Stearns დახმარება	29	26.3
კომერციული ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	1800	14.3
დოლარის სვოპ კონტრაქტები -	29.1	
Government-Sponsored Enterprises (GSEs) სამთავრობო სპონსორობით შექმნილი კომპანიების გამოსყიდვა	200	149.7
Government-Sponsored Enterprises (GSEs) ბალანსზე რიცხული ვალდებულებების გამოსყიდვა	1250	775.6
TALF (Term Asset- Backed Securities Loan Facility) ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხის პროგრამის ფარგლებში თანხის გაცემა	1000	43.8
TAF – დაბალ რეიტინგული იპოთეკური ქაღალდების გარანტიით თანხის გაცემა	500	109.5
აშშ სახაზინო ვალდებულებათა გამოსყიდვა	300	295.3
სულ	5079	1443.6

- ამ სიაში არ აისახა სხვა შექმნილი პროგრამები, რაზეც მოთხოვნა არ დაფიქსირდა – ჯამური თანხით 1,167 ტრილიონი აშშ დოლარზე.

ფედერალური სტიმულირების პროგრამები

	მოცულობა	დაბანდება
2008 წლის სტიმულირების პროგრამა	168	168
უმუშევრობაზე დანამატის ზრდა	8	8
სტუდენტებზე სესხების გარანტიები	195	32.6
“ბარაკ ობამა-ს გეგმა”	787.2	358.2
მაღალტექნოლოგიური მანქანების შექმნის პროგრამა	25	8
ახალი ავტომანქანების შექმნის სტიმულირება	3	3
სულ	1186.2	577.8

FDIC – ის (დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კომპანია) მიერ პრობლემური ბანკების შექმნა

მოცულობა	დაბანდება
2008 წელი	17.8
2009 წელი	27.8
სულ	45.4

საფინანსო ბაზრის მხარდაჭერის სხვა ღონისძიებები

NCUA ფონდის მხარდაჭერა

მოცულობა	დაბანდება
57	57

TLGP – ფინანსური ინსტიტუტების და უპროცენტო დეპოზიტების დაზღვევა სრულ თანხაზე და გარანტიების გაცემა ახალ ვალდებულებებზე

მოცულობა	დაბანდება	
1500	308.4	
სულ	1557	365.4

- \* ამ სიაში არ აისახა სხვა შექმნილი პროგრამები, რაზეც მოთხოვნა არ დაფიქსირდა – ჯამური თანხით 130 მლრდ აშშ დოლარზე.

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია შპს "საქართველოს საინვესტიციო აგენტი" მიერ. ჩვენ ვეყრდნობით ამ მასალების მომწოდებლებს, რამეთუ მიგვაჩნია აღნიშნული წყაროები როგორც სანდო და მისაღები. ამასთანავე ჩვენ არ გაძღვეთ იმის გარანტიას, რომ მოყვანილი მასალა არის ჭეშმარიტი და ზუსტი და არ ვაგებთ პასუხს რაიმე სახის შეცდომასა, რეკომენდაციასა თუ ნაკლზე. ყველა აზრი არის სამსჯავრო და მოქმედი არსებული მიმოხილვის დღისთვის და არ ექვემდებარება ცვლილებას ჩვენი შეტყობინების გარეშე. დოკუმენტი არ წარმოადგენს შეთავაზებას თუ მოწვევას, ფასიანი ქაღალდის ყიდვა/გაყიდვაზე გვ 5/6



თბილისი, საქართველო  
2010 წელი

საცხოვრებელი სექტორის მხარდაჭერის ღონისძიებები

მოცულობა დაბანდება

<b>Fannie May da Freddie Mac</b> (იპოთეკური სესხების ფედერალური სააგენტოები)	400	110.6
<b>FHA</b> – ფედერალური საცხოვრებელი სააგენტოს მხარდაჭერა	320	20
სულ	720	130.6

ჯამურად ყველა ანტიკრიზისული ღონისძიება

მოცულობა  
9242.2  
დაბანდება  
2963.4

### ავტორი – ქრისტინე ომაძე

(გაგრძელება შემდეგ გამოშვებაში)

გთხოვთ მოგვწეროთ:

დავით ასლანიშვილი [D.Aslanishvili@investgroup.ge](mailto:D.Aslanishvili@investgroup.ge)

ტელ: 914999

ვებ გვერდი: [www.investgroup.ge](http://www.investgroup.ge)

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია შპს "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" მიერ. ჩვენ ვეყრდნობით ამ მასალების მომწოდებლებს, რამეთუ მიგვაჩნია აღნიშნული წყაროები როგორც სანდო და მისაღები. ამასთანავე ჩვენ არ გაძლევათ იმის გარანტიას, რომ მოყვანილი მასალა არის ჭეშმარიტი და ზუსტი და არ ვაგებთ პასუხს რაიმე სახის შეცდომასა, რეკომენდაციასა თუ ნაკლზე. ყველა აზრი არის სამსჯავრო და მოქმედი არსებული მიმოხილვის დღისთვის და არ ექვემდებარება ცვლილებას ჩვენი შეტყობინების გარეშე. დოკუმენტი არ წარმოადგენს შეთავაზებას თუ მოწვევას, ფასიანი ქაღალდის ყიდვა/გაყიდვაზე გვ 6/6